საექსპერტო დასკვნა

ანგარიშზე „ქ. თბილისში, მაისურაძის ქ. №11-ში (ს/კ 01.19.20.004.043), მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობისათვის გამოყოფილი მოედნის საინჟინრო გეოლოგიური პირობები“.

შ.პ.ს. „კალო“-ს ხელმძღვანელობის თხოვნით ჩვენს მიერ 2015 წლის ივლისში შემოწმებული იქნა ქ. თბილისში, მაისურაძის ქ. №11-ში (ს/კ 01.19.20.004.043), მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობასთან დაკავშირებით ჩატარებული საინჟინრო გეოლოგიური გამოკვლევების ტექნიკური დოკუმენტაცია.

შემოწმების მიზანი: დადგინდეს ქ. თბილისში, მაისურაძის ქ. №11-ში (ს/კ 01.19.20.004.043), მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობასთან დაკავშირებით ჩატარებული საინჟინრო გეოლოგიური სამუშაოების და მის საფუძველზე შედგენილი ტექნიკური დოკუმენტაციის შესაბამისობა საქართველოში ამჟამად მოქმედ სამშენებლო ნორმებთან, წესებთან და სახელმწიფო სტანდარტებთან.

საინჟინრო გეოლოგიური სამუშაოები შესრულებულია შ.პ.ს „გენგეო“-ს გეოლოგიური ჯგუფის მიერ. სამუშაოების უშუალო ხელმძღვანელი ინჟ. გეოლოგი მ. ბაბილოძე. მათ მიერ არის დამუშავებული გრუნტის ზოგიერთი თვისებები და გრუნტის წყლის ქიმიური ანალიზები. რაც შეეხება კლდოვანი ქანების გამოკვლევას, იგი შესრულებულია საქართველოს გ. წულუკიძის სახელობის სამთო საქმის ინსტიტუტის მიერ.

საექსპერტოდ გადმოცემულია:

1. ანგარიშის ტექსტური ნაწილი აკრეფილი კომპიუტერზე---------- 8 გვ.
2. ტექნიკური დავალება---------- 1 გვ.
3. მიწერილობა---------- 1 გვ.
4. ცხრილი გრუნტების თვისებებზე---------- 1 გვ.
5. ცხრილი გრუნტის წყლების ქიმიურ შედგენილობაზე---------- 3 გვ.
6. მოედნის ტოპოგეგმა ---------- 1 ფურც
7. ჭაბურღილების ლითოლოგიური სვეტები ---------- 3 ფურც
8. მოედნის გეოლოგიური ჭრილები---------- 2 ფურც.

პროექტით საკვლევ მოედანზე უნდა აშენდეს 16 სართულიანი საცხოვრებელი სახლი, ზომებით გეგმაზე 22X20 მ. შენობა კონსტრუქციულად გადაწყვეტილია რკინაბეტონის კარკასში, შევსება იქნება აგურით ან ბეტონის წვრილი ბლოკებით. რაც შეეხება საძირკვლის კონსტრუქციას, იგი გადაწყდება შენობის მოედნის საინჟინრო გეოლოგიური პირობების გამოკვლევის შემდეგ.

მოედნის საინჟინრო გეოლოგიური პირობების დასადგენად, ავტომანქანაზე დამონტაჟებული საბურღი დაზგით გაყვანილი იქნა 3 ჭაბურღილი, მათი საერთო სიგრძე შეადგენს 37.0 მეტრს.

ჭაბურღილებიდან აღებული იქნა გრუნტის ნიმუშები მათი თვისებების გამოსაკვლევად. აღებული იქნა აგრეთვე გრუნტის წყლის სინჯები მათი ქიმიზმის დასადგენად.

ჩატარებული საველე და ლაბორატორიული სამუშაოების ანალიზის საფუძველზე საკვლევ მოედანზე გამოყოფილი იქნა გეოლოგიურ ჭრილში გრუნტის შემდეგი ფენები:

1. ფენა 1 – ნაყარი (t,Q_{IV})
2. ფენა 2 – თიხნარი (dp,Q_{IV})
3. ფენა 3 – კენჭნარი (*a*,Q_{IV})
4. ფენა 4 – ძლიერ გამოფიტული არგილითები და ქვიშაქვები P_2^3
5. ფენა 5 – სუსტად გამოფიტული არგილითები და ქვიშაქვები P_2^3

ანგარიშში მოცემულია (გარდა ნაყარისა) ზემოაღნიშნული ოთხივე ფენის დახასიათება და მათი ფიზიკურ-მექანიკური მაჩვენებლები. ავტორი საძირკვლის შერჩევის თაობაზე უპირატესობას ანიჭებს ფენა 5-ს, სუსტად გამოფიტული არგილითებისა და ქვიშაქვების მორიგეობას, რასაც ვეთანხმებით. მათი სიმტკიცის ზღვარი დამუშავებულია სტატისტიკური მეთოდით.

მოედნის ჰიდროგეოლოგიური პირობების შესახებ აღნიშნულია, რომ გრუნტის წყალი გახსნილია ზედაპირიდან 2.5-2.8 მ სიღრმეზე. დამყარებული დონეები 1.1-1.4მ. წყალი ქიმიური შედგენილობით აგრესიულია ბეტონის ნაკეთობების მიმართ.

დ ა ს კ ვ ნ ა

ჩატარებული საინჟინრო გეოლოგიური გამოკვლევები ქ. თბილისში, მაისურაძის ქუჩა №11-ში (ს/კ 01.19.20.004.043), მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობისათვის გამოყოფილ მოედანზე, აკმაყოფილებს საქართველოში მოქმედი სამშენებლო ნორმების მოთხოვნებს. ცალკეული შენიშვნები ჩვენს მიერ გამოთქმული სამუშაოების მიმართ, ავტორის მიერ მიღებული იქნა და ანგარიშში შეტანილია სათანადო კორექტივები. დასასრულს ავღნიშნავთ, რომ წარმოდგენილი ანგარიში იმსახურებს დადებით შეფასებას და შეიძლება დაედოს საფუძვლად მშენებლობის პროექტს საინჟინრო გეოლოგიურ ნაწილში.

საქართველოს დამსახურებული მშენებელი,
ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი გ. ჭიჭონელიძე

[illegible]

გვარი, სახელი, მამის სახელი	ჭოხონელიძე გუგა ილიას ძე
ბინის ტელეფონის ნომერი	ქ. თბილისი, კეკელიძის №10, ბინა 25 ტელ.: 2-22-00-44
დაბადების თარიღი	1928 წლის 16 თებერვალი
განათლება	1945 წელს დავამთავრე ქ. თბილისის 12 ვაჟთა სკოლა, 1950 წელს დავამთავრე საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუ სამშენებლო ფაკულტეტი, მშენებელ-ინჟინერის სპეციალობით, 1972 წელს დავამთავრე იგივე ინსტიტუტი, ინჟინერ-გეოლოგის სპეციალობით.
მინიჭებული კვალიფიკაცია	1974 წელს ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი (დიპლომი) 1975 წელს პროფესორი საინჟინრო გეოლოგიაში (დიპლომი) 2000 წელს საქართველ;ოს საინჟინრო აკადემიის - აკადემიკოსი
საქმიანობა და სამუშაო გამოცდილება	1950-1958 წწ. ჰიდროგეოლოგიისა და მელიორაციის ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელი; 1958-1974წწ. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ჰიდროგეოლოგიისა და საინჟინრო გეოლოგიის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე სამეცნიერო ნაწილში; 1983 წლიდან დღემდე საქართველოს ტექნიკური უნივერსიტე გრუნტების მექანიკისა და ფუძე-საძირკვლების მიმართულე ხელმძღვანელი
გამოქვეყნებული სამეცნიერო შრომები და პუბლიკაციები	გამოქვეყნებულია 98 სამეცნიერო შრომა, მათ შორის მონოგრაფი „საქართველოს ლიოსისებური გრუნტები" (1976წ) და „ამიერკავკასიის ლიოსისებური გრუნტები" (1988 წ.) შესწავლილი და ანგარიშები დაწერილი მაქვს ინგურის ჰიდროელექტროსადგურის, ქ. თბილისის,. ქ. რუსთავის სოხუმისა და ქ. ფოთის საინჟინრო „გეოლოგიურ პირობებ გაცემული მაქვს 100-ზე მეტი საექსპერტო დასკვნა მშენებლობასა დაკავშირებული ობიექტის საინჟინრო-გეოლოგიურ პირობებზე. მაქვს გამოგონებები გრუნტების გამაგრებაზე. ვარ ავტორი სახელმძღვანელოებისა: „გრუნტების მექანიკა და ფუძე-საძირკვლები" 2005 წ. და „ საინჟინრო ნაგებობები" (2012 წ.). ვარ ავტორი სამშენებლო ნორმების: 2.02.01 – 2003 წ. „შენობა-ნაგებობათა ფუძე-საძირკვლები".
უცხო ენების ცოდნა	ქართული - მშობლიური; რუსული - კარგად; ინგლისური - ლექსიკონის დახმარებით

დიპლომი

Я № 168169



ДИПЛОМ

Я № 168169

Настоящий диплом выдан Чхонелидзе
Гуга Шалвовичу
в том, что он в 1961 году поступил
в Груз. ордена трудового Красного Знамени
политехнический институт имени
и в 1972 году окончил полный курс
названия института
по специальности Гидрогеология и
инженерная геология
Решением Государственной экзаменационной
комиссии от 30 июня 1972 г.
присвоена квалификация горного
инженера-гидрогеолога
Декан
Председатель
2 апреля 1973 г.
Регистрационный № ГБ-205
Москва
Московская типография Госкомиздата, 1972

АТТЕСТАТ
ПРОФЕССОРА

ПР № 005702

Москва

Решением
Высшей аттестационной комиссии
при Совете Министров СССР
от 23 ноября 1979 г. (протокол № 37)

Чохонелидзе Гуго Ильич

ПРИСВОЕНО УЧЕНОЕ ЗВАНИЕ

ПРОФЕССОРА

ПО КАФЕДРЕ

гидрогеологии и инженерной геологии

Председатель
Высшей аттестационной комиссии

Главный ученый секретарь
Высшей аттестационной комиссии

А. Кулемзов